

მომენტალური განვადებით მომსახურების სტანდარტული პირობები

1. **დეფინიციები**

თუ შეთანხმებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, შეთანხმებით ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა გარიგებით ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

  - 1.1. **ანგარიში** – ბანკში არსებული კონტრაქტის საბანკო ანგარიშ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - 1.2. **ბანკი** – სს "საქართველოს ბანკი", საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869;
  - 1.3. **განაცხადი** – კონტრაქტის მიმართუა **ბანკისადმი** (ბანკის მიერ დადგენილი ფორმით), რომ **ბანკმა** განაცხადშივე განსაზღვრული პირობების შესაბამისად, განახორციელოს მომენტალური განვადებით მომსახურება;
  - 1.4. **განცხადებები და გარანტიები** – სტანდარტული პირობების მე-3 მუხლში მოცემული კონტრაქტის განცხადებები და გარანტიები;
  - 1.5. **დანართი** – თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დანართი(ებ)ი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს/წარმოადგენენ შეთანხმების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს/მოქმედებენ მასთან ერთად;
  - 1.6. **დესკი** – ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირი (ბანკის ან/და კონტრაქტის თანამშრომელი), რომელიც შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად მოემსახურება კლიენტს;
  - 1.7. **დისტანციური იდენტიფიკატორი** – ბანკის მიერ კლიენტებისთვის გადაცემული მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლითაც კლიენტს შეუძლია მოახდინოს იდენტიფიკაცია ბანკის დისტანციურ არხებში;
  - 1.8. **ელექტრონული სისტემა** – ვებ გვერდზე არსებული სისტემა, სადაც კონტრაქტი გადის ავტორიზაციას ბანკის მიერ გაცემული მომხმარებლის სახელითა და პაროლით და ახორციელებს სტანდარტული პირობების დანართი Nა-თი განსაზღვრულ მოქმედებებს;
  - 1.9. **ვებ გვერდი** - [www.ganvadeba.bog.ge/merchant](http://www.ganvadeba.bog.ge/merchant);
  - 1.10. **თანამონაწილეობის თანხა** – ნასყიდობის საფასურსა და საბანკო კრედიტს შორის არსებული სხვაობის თანხა, რომელსაც კლიენტი იხდის, სტანდარტული პირობების დანართი Nა-თი განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
  - 1.11. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
  - 1.12. **კლიენტი** – პირი, რომელსაც სურს კონტრაქტისაგან საქონლის შეძენა საბანკო კრედიტის მეშვეობით;
  - 1.13. **კონტრაქტი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი(ებ)ი, რომლებიც ეთანხმებიან სტანდარტულ პირობებს;
  - 1.14. **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგება** (ან შეთანხმებასთან დაკავშირებული სხვა გარიგება) – შეთანხმების საფუძველზე და მის შესაბამისად ბანკსა და კონტრაქტს, ან ბანკს/კონტრაქტსა და მესამე პირს შორის დადებული ყველა ხელშეკრულება ან/და სხვა დოკუმენტი, რომელთა დადება ან/და გაცემა გათვალისწინებულია შეთანხმებით ან/და ხორციელდება მის საფუძველზე/შესაბამისად;
  - 1.15. **მესამე პირი** – ნებისმიერი პირი გარდა ბანკის ან/და კონტრაქტისა;
  - 1.16. **მხარე/მხარეები** – ბანკი ან/და კონტრაქტი (კონტექსტის შესაბამისად);
  - 1.17. **ნასყიდობის საფასური** – თითოეული კლიენტის მიერ შესაბამისი საქონლის შესაძენად სასყიდლიანი გარიგების საფუძველზე კონტრაქტისათვის გადასახდელი ნასყიდობის საფასური, რომელიც შედგება შეთანხმების და სტანდარტული პირობების დანართი Nა-ის შესაბამისად: ა) კლიენტის მიერ ნასყიდობის საფასურისთვის გამოყოფილი/გადახდილი თანამონაწილეობის თანხისაგან და ბ) კლიენტის მიერ კონტრაქტისათვის გადასახდელი ნასყიდობის საფასურის დარჩენილი მოცულობისაგან (ნასყიდობის საფასურის მთლიან მოცულობას გამოკლებული კლიენტის მიერ წინასწარ გადახდილი თანამონაწილეობის თანხა);
  - 1.18. **ოვერდრაფტი** – შეთანხმების შესაბამისად, ბანკის მიერ კონტრაქტის ანგარიშზე მოკლე ვადით დაწესებული სადებეტო ნაშთი, რომელიც კონტრაქტს საშუალებას აძლევს მის ანგარიშზე დაწესებული სადებეტო ნაშთის (ოვერდრაფტის ლიმიტის) ფარგლებში გამოიყენოს ანგარიშზე რიცხულ თანხაზე მეტს თანხა, ხოლო წარმოქმნილი დავალიანება პირველი რიგში ავტომატურად დაიფარება ანგარიშზე შემოსული თანხით;
  - 1.19. **პირი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს;
  - 1.20. **რეესტრი** – რეესტრირებულ მონაცემთა ბაზა ან/და შესაბამისი მარეგისტრირებული ორგანო (კონტექსტის შესაბამისად): (ა) ფსიანი ქალაქების (აქციების) შემთხვევაში – კანონმდებლობით გათვალისწინებული ფსიანი ქალაქების რეგისტრატორი ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილი პირი, (ბ) საპირი და საზღვაო ხომალდების შემთხვევაში – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილი პირი, (გ) მექანიკური სატრანსპორტო და დამხმარე ტექნიკური საშუალებების შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, (დ) სხვა შემთხვევებში – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი;
  - 1.21. **საბანკო დღე** – დღე (შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას;
  - 1.22. **საპროცენტო სარგებელი** – შეთანხმების საფუძველზე და ბანკში დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად, ოვერდრაფტით სარგებლობისათვის დაწესებული ბანკისათვის გადასახდელი სარგებელი;
  - 1.23. **საქონელი** – მოძრავი ნივთი, რომელიც ვარგისია ექსპლუატაციისათვის და არ არის ამოღებული ბრუნვიდან ან/და მომსახურება;
  - 1.24. **ტერმინალი** – ელექტრონული მოწყობილობა ბარათის და საბარათე ანგარიშის სტატუსის შემოწმებისა და საბარათე ოპერაციაზე ბანკის მიერ თანხმობის გაცემის პროცედურის განსახორციელებლად;
  - 1.25. **სტანდარტული პირობები** – (ა) წინამდებარე სტანდარტული პირობები; (ბ) წინამდებარე სტანდარტული პირობების დანართი Nა, დანართი Nბ და დანართი Nგ;
  - 1.26. **შეთანხმება** – (ა) განაცხადი, (ბ) სტანდარტული პირობები და (გ) ნებისმიერი დამატებითი დანართი (ასეთის არსებობისას), რომლებიც დაიდო/დაიდება მომავალში მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმებასთან მიმართებაში, ამგვარ დოკუმენტებში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით.
2. **შეთანხმების საგანი**
  - 2.1. **კონტრაქტი** იღებს ვალდებულებას:
    - 2.1.1. **შეთანხმებით** განსაზღვრული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ რეკლამირება განახორციელოს მხოლოდ ბანკთან შეთანხმებით, ბანკის მოთხოვნით განსაზღვრულ ვადებში და ადგილებში უზრუნველყოს ბანკის წარმომადგენლ(ებ)ის ან/და მიწოდებული სარეკლამო-საინფორმაციო მასალ(ებ)ის განთავსება;
    - 2.1.2. საბანკო კრედიტის მისაღებად, შეთანხმების შესაბამისად, კლიენტები გამოაუზუნავს/გადმოამისამართოს ბანკში ან/და ბანკის მიერ განსაზღვრულ მესამე პირთან;
    - 2.1.3. არ დაუშვას საქონლის დეფიციტი ან/და კლიენტებზე საქონლის რეალიზაცია არ მოახდინოს იმ მომენტისათვის არსებულ სტანდარტულზე მეტ ფასად;
    - 2.1.4. ბანკის თითოეულ კლიენტთან, საქონლის შექენასთან დაკავშირებული სახელმეკრულებო თუ მასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე ყველა სახის ურთიერთობაში უზრუნველყოს შეთანხმების გათვალისწინებული წესების, პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;
    - 2.1.5. ბანკის მიერ კლიენტებისათვის საბანკო კრედიტის დამტკიცების ან/და გაცემული საბანკო კრედიტის მოქმედების პერიოდში, კლიენტების მიერ შესაძენად შერჩეული საქონელი არ გაახსვის მესამე პირზე;
    - 2.1.6. თითოეული კლიენტის მიმართ ბანკის მიერ სტანდარტული პირობების 2.2.2. ქვეპუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოს თითოეული კლიენტის მიერ შეძენილი საქონლით სრულად და ჯეროვნად სარგებლობა;
    - 2.1.7. თითოეულ კლიენტს საქონლით სარგებლობის უფლება გადასცეს მხოლოდ შეთანხმებით გათვალისწინებული წესების, პირობებისა და მოთხოვნების სრულად დაცვის შემდეგ;
    - 2.1.8. უზრუნველყოს კლიენტზე რეალიზებული საქონლის საგარანტო მომსახურება (თუ ეს შესაძლებელია საქონლის სპეციფიკის გათვალისწინებით) საქონლის ღირებულებისა და ტექნიკური მახასიათებლიდან გამომდინარე გონივრული ვადით, მაგრამ არანაკლებ ექვსი თვის ვადისა ან ბანკთან შეთანხმებული ვადით;
    - 2.1.9. ბანკის მიერ კლიენტებისათვის გაცემული საბანკო კრედიტის მოქმედების პერიოდში არ დაუშვას კლიენტებისათვის ნასყიდობის საფასურის ან მისი ნაწილის დაბრუნება;
    - 2.1.10. შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში გახსნას ანგარიში ბანკში, თუ მას არ გააჩნია ანგარიში;

- 2.1.11. იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი მიზეზით ან/და საფუძვლით: ა) ვადადმდე გაუქმდება თითოეულ კლიენტსა და კონტრაქტს შორის არსებული სასყიდლიანი გარიგება (ხელშეკრულება საქონლის შექმნის თაობაზე) ან/და ბ) კლიენტი, საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში უარს იტყვის საქონლის შექმნაზე ან/და სარგებლობაზე, თითოეული ამგვარი გარიგების დადგომიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა: ა) შესაბამისი ნასყიდობის საფასურის დარჩენილი მოცულობა (ნასყიდობის საფასურის მთლიან მოცულობას გამოკლებული კლიენტის მიერ წინასწარ გადახდილი თანამონაწილეობის თანხა), მიმართოს/გადარიცხოს შესაბამისი კლიენტის ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების დასაფარად და ბ) აღნიშნული მიმართვის/გადარიცხვის თაობაზე წინასწარ, მაგრამ არანაკლებ 3 (სამი) საბანკო დღით ადრე აცნობოს ბანკს;
- 2.1.12. ბანკის ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ბანკს, კლიენტების მიერ ბანკის წინაშე შესასრულებელი (გადასახდელი) ყველა ის ფულადი ვალდებულება (მათ შორის მიუღებელი სარგებელი, მიყენებული ზიანი და ხარჯები), რომელთა შესრულებაც (გადახდაც) კლიენტების მიერ არ განხორციელდება, კლიენტებსა და კონტრაქტებს შორის შესაძენ/შეძენილ საქონელთან დაკავშირებით არსებული სახელშეკრულები ურთიერთობიდან გამომდინარე კონტრაქტის მიმართ წარმოშობილი კლიენტების შესაგებელის საფუძველზე;
- 2.2. კონტრაქტი უფლებამოსილია:
- 2.2.1. მის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოსთხოვოს ბანკს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.
- 2.3. ბანკი იღებს ვალდებულებას:
- 2.3.1. შეუზღუდავად და თითოეული კლიენტის მომართვიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში განიხილოს თითოეული საბანკო კრედიტის დამტკიცების საკითხი, კონტრაქტის მიერ შეთანხმების ფარგლებში გამოგზავნილი თითოეული კლიენტისათვის, რომელიც წარმოადგენს კონტრაქტის მიერ გაცემულ თანდართული ფორმის ცნობას (შემდგომში - ცნობა) (დანართი №8) (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში), რომელიც უნდა ასახავდეს: შესაძენი საქონლის აღწერას (ზომები და სპეციფიკაციები ნიშნით აღწერა), ნასყიდობის საფასურის მთლიან მოცულობას და კონტრაქტის დათქმას იმის თაობაზე, რომ ცნობაში ან/და მასში მოცემულ მონაცემებში ცვლილების შეტანა დასაშვებია მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე;
- 2.3.2. კონტრაქტის მიერ შეთანხმების ფარგლებში გამოგზავნილი/ცვლ-გვერდზე გადამოისამართებული თითოეული კლიენტისათვის შეთანხმების გათვალისწინებული წესების, პირობებისა და მოთხოვნების საფუძველზე საბანკო კრედიტის დამტკიცების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან: ა) 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში უზრუნველყოს: ა.ა) შესაბამისი კლიენტზე საბანკო კრედიტის გაცემა და ა.ბ) შესაბამისი კლიენტის მიერ კონტრაქტისათვის გადასახდელი თანამონაწილეობის თანხის გადახდის დამდასტურებელი თანდართული ფორმის ორდერის (შემდგომში - ორდერი) (დანართი №9) გაცემა და ბ) 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი კლიენტის მიერ კონტრაქტისათვის გადასახდელი ნასყიდობის საფასურის დარჩენილი მოცულობის (ნასყიდობის საფასურის მთლიან მოცულობას გამოკლებული კლიენტის მიერ წინასწარ გადახდილი თანამონაწილეობის თანხა) გადახდა;
- 2.4. ბანკი უფლებამოსილია:
- 2.4.1. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ და კონტრაქტის წინასწარი თუ შემდგომი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე შეცვალოს სტანდარტული პირობებით განსაზღვრული წესები და პირობები;
- 2.4.2. თითოეულ კლიენტისათვის შეთანხმების შესაბამისად საბანკო კრედიტის დამტკიცების საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ;
- 2.4.3. ვადადმდე გამოითხოვოს მის მიერ შეთანხმების ფარგლებში გაცემული თითოეული საბანკო კრედიტი თუ: ა) თითოეული საბანკო კრედიტის მიმართ კონტრაქტი დაარღვევს შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან/და ბ) ნებისმიერი მიზეზით ან/და საფუძვლით: ბ.ა) ვადადმდე გაუქმდება თითოეულ კლიენტსა და კონტრაქტს შორის არსებული სასყიდლიანი გარიგება (ხელშეკრულება საქონლის შექმნის თაობაზე) ან/და ბ.ბ) კლიენტი წერილობით ან/და ზეპირად უარს იტყვის საქონლის შექმნაზე ან/და სარგებლობაზე;
- 2.5. შეთანხმებისათვის დაკავშირებული ხარჯების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად - ასევე შეთანხმების დადების, გაფორმების, რეგისტრირების (წარმოშობა, ცვლილება/დამატება ან შეწყვეტა) (ასეთის აუცილებლობისას) და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯების) დაკისრების საკითხს მხარეები წყვეტენ ზეპირი ან წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- 2.6. შეთანხმებით გათვალისწინებული ან მისგან გამომდინარე (მათ შორის შეთანხმების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად მხარეთა მიერ განსაზღვრული) ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მასალა/ქონება (უმრავლ-მომრავი ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც გამოიყენება შეთანხმების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად ან/და მისი/მათი ნაწილი) მეორე მხარისათვის გადაცემულად, ხოლო შეთანხმების საგანი ან მისი ნაწილი (ეტაპი) შესრულებულად ჩაითვლება (შემდგომში - მიღება-ჩაბარება) ფაქტობრივი მიღება-ჩაბარებიდან.
- 3. განცხადებები და გარანტიები
- 3.1. კონტრაქტი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
- 3.1.1. შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესით);
- 3.1.2. შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;
- 3.1.3. მომავალში დანართის ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;
- 3.1.4. შეთანხმება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგება იდება/დაიდება მის მიერ წინაყოფილობით, ბანკის ან მესამე პირის მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;
- 3.1.5. შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზე ის პასუხისმგებელია;
- 3.1.6. შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის მიერ შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების პირობების შესრულებას;
- 3.1.7. შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებებსა ან/და სხვა მარგულირებელ დოკუმენტთან და ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;
- 3.1.8. შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაცავს შეთანხმების ან/და სხვა ნებისმიერი გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შესრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კონტრაქტის მიერ შეთანხმებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- 3.1.9. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული ბანკის მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დასადავად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ ბანკისთვის წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;
- 3.1.10. მისთვის ცნობილია, რომ ბანკის პოლიტიკა მკაცრად კრძალავს დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი აფილირებული პირის მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს დირექტორის მქონე რაიმე ნივთი/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ამა თუ იმ პირის, ბანკის, მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი აფილირებული პირის ან მისი კლიენტის მიერ სარგებლის მიღების, ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;
- 3.1.11. მას (მათ შორის არც მის დირექტორს, უფლებამოსილი პირს, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებული პირს ან/და მის აფილირებულ პირს:
- 3.1.11.1. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს შეთანხმებას ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა გარიგებას; ან/და
- 3.1.11.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა შეთანხმების დადების პროცესზე ან შეთანხმების დადებაზე, რომლის მიზანია ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა; ან/და
- 3.1.11.3. არ შეუთავაზებია ან მიუღია დირექტორის მქონე რაიმე ნივთი/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ბანკის, მისი დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი აფილირებული

პირის ქმედებებზე, ასევე რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით; ან/და

3.1.11.4. სხვაგვარად არ მოუღია მონაწილეობა კორუფციულ საქმიანობაში.

3.1.12. **ბანკის** პოლიტიკის ან ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს მის დაუყოვნებლივ დისკვალიფიკაციას **შეთანხმების** დადების პროცესიდან ან/და **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების** შეწყვეტას. ამასთან, ამგვარი დისკვალიფიკაცია ან/და **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების** შეწყვეტა არ გამოიწვევს **კონტრაქტის** ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი აფილირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამისი სანქციებს, რაც გათვალისწინებულია **კანონმდებლობით** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).

3.2. **კონტრაქტის** აღნიშნული **განცხადებით** და **გარანტიები** ძალაშია **მხარეთა** მიერ **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

3.3. **კონტრაქტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ **განცხადებით** და **გარანტიებთან** ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **კონტრაქტის** მიერ **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას;

3.4. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **ბანკი** მხოლოდ **კონტრაქტის** ზემოაღნიშნული **განცხადებების** და **გარანტიების** საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შესრულებს **შეთანხმებას** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა გარიგებას**.

**4. მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები**

4.1. **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების** შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, **მხარეები**:

4.1.1. უფლებამოსილინი არიან სრულად და ჯეროვნად ისარგებლონ **შეთანხმებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებებით;

4.1.2. მოვალენი არიან სრულად და ჯეროვნად შეასრულონ **შეთანხმებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული ვალდებულებები.

4.2. თუ ის გარემოებები, რომელიც **შეთანხმების** დადების საფუძველი გახდა, **შეთანხმების** დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და **ბანკი** არ დადებდა **შეთანხმებას** ან დადებდა სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გათვალისწინებინა, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კონტრაქტი** ვალდებულია უზრუნველყოს **შეთანხმების** მისადაგება შევცვლილი გარემოებებისადმი. **შეთანხმების** შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღებენა იქნება შევცვლილი გარემოებების ზეგავლენის დონე **შეთანხმების** პირობებზე. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინამდებარე **პუნქტით** განსაზღვრული გარემოებების დადასტურების მიზნით **ბანკის** მიერ წარმოდგენილი მონაცემები **კონტრაქტის** მიერ არ გახდება სადაო და ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად.

**5. მხარეთა პასუხისმგებლობა**

5.1. თუ **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **შეთანხმების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** დადგენილი წესით, ხოლო ზარალის ანაზღაურება **მხარეებს** არ ათავისუფლებს **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან);

5.2. **კონტრაქტი** ვალდებულია, **შეთანხმებით**, მისი **დანართებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის გადაუხადოს **ბანკს** ერთჯერადი პირგასამტეხლო დარღვევის მომენტისათვის **ბანკის** მიერ **კლიენტებზე** გაცემული საბანკო კრედიტების ერთობლივი მოცულობის 10 (ათი) %-ის ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლო თითოეული შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) ზემოაღნიშნული საბანკო კრედიტების ერთობლივი მოცულობის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის ოდენობით.

5.3. მიუხედავად **სტანდარტული პირობების 5.1. პუნქტით** განსაზღვრული გარანტიებისა, **კონტრაქტის** მიერ **შეთანხმებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **ბანკის** უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, **კონტრაქტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, საკუთარი შეხედულებისამებრ:

5.3.1. არ გადაუხადოს **კონტრაქტს** **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** გათვალისწინებული გადასახდელი, რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) **კონტრაქტის** მიერ **ბანკისთვის** **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** გათვალისწინებული გადასახდელის (პირგასამტეხლო, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება და სხვა) ანგარიშში; ან/და

5.3.2. **კონტრაქტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად; ან/და

5.3.3. შესაბამისი გადასახდელის ოდენობით **კონტრაქტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშზე** არაუმეტეს ერთი წლის ვადით უაქცეპტოდ, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად, დაუმკას **ოვერდრაფტი** და დაარიცხოს მათ **საპროცენტო სარგებელი**.

**6. ანგარიშსწორება**

6.1. **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

6.2. **შეთანხმებით** განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს (გადახდული უნდა იქნეს) ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან, პირგასამტეხლოს მოთხოვნის დღიდან და სხვა) 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დემთხვავ არასამუშაო ან გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო **საბანკო დღე**;

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად;

6.4. უნაღდო ანგარიშსწორებისას თანხები უნდა ჩაირიცხოს შესაბამისი **მხარის** **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე ან **მხარეთა** მიერ დამატებით შეთანხმებულ სხვა საბანკო ანგარიშზე.

**7. კომუნიკაცია მხარეთა შორის**

7.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. **მხარისთვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე **მხარისთვის** შეტყობინების წიწოდება დეკემბის, ტელექსის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის ან **ბანკის** მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე **მხარის** მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც;

7.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.);

7.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს არიდებს მის მიღებას;

7.4. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ **შეთანხმებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით** განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი **მხარე** აცნობებს მეორეს წერილობით). **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართების ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად;

- 7.5. შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეტყობინების განხორციელება სტანდარტული პირობების 7.1. პუნქტით გათვალისწინებულ კომუნიკაციის კონკრეტულად ერთ-ერთი საშუალებით, ან განსხვავებული ფორმით.
- 8. კონფიდენციალურობა
  - 8.1. მხარეები ვალდებული არიან, როგორც შეთანხმების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელმწიფო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა გარდა სტანდარტული პირობებისა.
  - 8.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:
    - 8.2.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისთვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
    - 8.2.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);
    - 8.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
    - 8.2.4. თუ ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნება მოხდება: ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი მხარე სრულად აგებს პასუხს მესამე პირის მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე მხარისგან დამოუკიდებლად.
  - 8.3. ბანკი უფლებამოსილია კონტრაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს კონტრაქტის მიერ შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების პირობების შესრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად ზანვის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და კონტრაქტის მიერ შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.
- 9. პრეტენზიები და დავები
  - 9.1. შეთანხმებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებიდან გამომდინარე პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია პრეტენზიის მიმღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე მხარეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
  - 9.2. შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ზანვის სასარგებლო მიმდებარე გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
  - 9.3. მიუხედავად, სტანდარტული პირობების 9.2. პუნქტით განსაზღვრული დებულებისა, იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის დავა უკვე არ არის გადაცემული სასამართლოში განსახილველად, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დავის გადასაწყვეტად მიმართოს არბიტრაჟს სტანდარტული პირობების 9.4. პუნქტით განსაზღვრული საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტი სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ პუნქტით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას და გამოთქამს თანხმობას დავის განხილვა მოხდეს არბიტრაჟში.
  - 9.4. მხარეები თანხმდებიან, რომ შეთანხმებიდან (მათ შორის მისი დანართიდან) ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავის სტანდარტული პირობების 9.3. პუნქტით გათვალისწინებული წესით არბიტრაჟისათვის გადაცემის შემთხვევაში:
    - 9.4.1. სადაო საკითხები) განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შ.პ.ს. „დავების განხილველ ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204547348; ვებ-გვერდი: www.drc-arbitration.ge) (შემდგომში - მუდმივმოქმედი არბიტრაჟი), ან მის სამართალმემკვიდრეს;
    - 9.4.2. საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება საქართველოში (ქ. თბილისიში), ქართულ ენაზე, ქართული სამართლის ნორმების (კანონმდებლობის) შესაბამისად და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის რეგლამენტის/დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის და ამასთან, სრულად ან ნაწილობრივ არ იქნება შესაძლებელი ამ პუნქტით განსაზღვრულ საარბიტრაჟო შეთანხმებასთან, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან მხარეთა დამატებითი წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული;
    - 9.4.3. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 100,000 (ასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, მხარეთა შორის დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელსაც საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ნიშნავს თავად მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრთა ნუსხიდან;
    - 9.4.4. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 100,000 (ასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, მხარეთა შორის დავა განიხილება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრთა ნუსხიდან დანიშნული 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელთაგან თითო არბიტრს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის რეგლამენტის/დებულების შესაბამისად ნიშნავს თითოეული მხარე, ხოლო მესამე არბიტრს - მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარე. ამასთან:
      - 9.4.4.1. მოსარჩელე არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მოპასუხე - მისთვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში (თუ მოპასუხე წარმოდგენილია ერთზე მეტი პირით, მაშინ ვადის ათვლა იწყება საარბიტრაჟო სარჩელის ერთ-ერთი მათგანისათვის (ყველაზე ადრე ჩაბარების გათვალისწინებით) ჩაბარების შემდეგი დღიდან. თუ კი საარბიტრაჟო დავაში რომელიმე მხარეს მონაწილეობს ერთზე მეტი პირი, მათ ერთობლივად უნდა ისარგებლონ არბიტრის დანიშვნის უფლებით;
      - 9.4.4.2. მესამე არბიტრის, რომელიც ამავე დროს იქნება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე, დანიშვნის უფლებას მხარეები გადასცემენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში;
      - 9.4.4.3. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე არ დანიშნავს არბიტრს სტანდარტული პირობების 9.4.4.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ჩაბარება, რომ ის უარს ამბობს ისარგებლოს არბიტრის უშუალოდ დანიშვნის უფლებით და რომ არბიტრის დანიშვნის უფლებას იგი გადასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარე არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრთა ნუსხიდან, შესაბამისი მხარის მიერ არბიტრის დანიშვნის ვადის გაშვებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.
    - 9.4.5. სტანდარტული პირობების 9.4.3. და 9.4.4. ქვეპუნქტის პირობების შესაბამისად არბიტრის დანიშვნის თანადროულად შესაბამისმა მხარემ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს უნდა წარუდგინოს არბიტრობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა არბიტრობაზე;
    - 9.4.6. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში, არბიტრს შეუწყდება უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის დასაბუთებული წერილობითი განცხადებით;
    - 9.4.7. მხარეს, რომელსაც ვანზრახული აქვს ავიღოს მუდმივმოქმედი არბიტრის, ვალდებულია ავიღოს შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარეს და არბიტრებს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის ავიღების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს ავიღების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის ავიღების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითავილებას ან თუ მეორე მხარე არ დაეთანხმება ავიღებას მისთვის არბიტრის ავიღების თაობაზე წერილობითი განცხადების წარდგენიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ ავიღების საკითხს გადაწყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარე ამ ვადის ამოწურვიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარის ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, არ გასაჩივრდება და მხარეები თანხმდებიან არბიტრის ავიღების მოთხოვნით არ მიმართონ სასამართლოს;
    - 9.4.8. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ან ავიღებიდან/თვითავილებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ამგვარი არბიტრის ნაცვლად არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრთა ნუსხიდან;
    - 9.4.9. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარეს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და უნდა აღსრულდეს შესაბამისად მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ზემოაღნიშნული დათქმებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვა და სასამართლოს მიერ მათი ცნობა არ არის საჭირო;
    - 9.4.10. საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება მოპასუხისათვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემის მომენტიდან;
    - 9.4.11. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება:

- 9.4.11.1. 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე;
- 9.4.11.2. 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე.
- 9.4.12. საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებულ საარბიტრაჟო თუ სხვა მოსაკრებელს და გადასახდელს გადაიხდის/აანაზღაურებს და ხარჯებს გაიღებს/აანაზღაურებს წაგებული მხარე;
- 9.4.13. მოპასუხეს უფლება აქვს საარბიტრაჟო სარჩელზე შესაგებელი/შეპასუხება წარმოადგინოს საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ჩაითვლება, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა შესაგებელზე/შეპასუხებაზე;
- 9.4.14. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შესაძლებელია გაიზარდოს გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ვადისა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 5 (ხუთი) **საზნეო დღის** ვადაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც სხვა აუცილებელ შემადგენელ ნაწილებთან ერთად უნდა შეიცავდეს ასევე სამოტივაციო ნაწილს, უნდა გადასცეს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელი გადაწყვეტილებაც უნდა გადაეცეს **მხარეს** მისი ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნისთანავე;
- 9.4.15. თითოეულ **მხარეს** უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მის მიერ მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მოთხოვოს საარბიტრაჟო სასამართლოს;
- 9.4.15.1. გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერიითი, ბეჭდური ან სხვა ამგვარი შეცდომები;
- 9.4.15.2. მისცეს განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით;
- 9.4.15.3. გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადაწყვეტილებაში;
- 9.4.16. ყველა კომუნიკაცია **მხარეებს**, **მუდმივმოქმედი არბიტრაჟსა** და საარბიტრაჟო სასამართლოს შორის უნდა წარმოებდეს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** კანცელარიის მეშვეობით;
- 9.4.17. საარბიტრაჟო დავის განხილვის წესები და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება არც **სტანდარტული პირობებით**, არც **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტი/დებულებით და არც **კანონმდებლობით**, გადაწყდება **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო საარბიტრაჟო სასამართლოს ფორმირების შემდეგ - საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

**10. შეთანხმების მოქმედება და შეწყვეტა**

- 10.1. **შეთანხმება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **შეთანხმებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
- 10.2. **შეთანხმებით**, მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **შეთანხმების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების ვადადამე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა/შეჩერება;
- 10.2.1. **ბანკის** მიერ ნებისმიერ დროს თუ **კონტრაქტის** სრულად და ჯეროვნად არ შესრულებს **შეთანხმებით** ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა გარიგებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);
- 10.2.2. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;
- 10.2.3. **შეთანხმებით**, მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შემთხვევები, წინააღმდეგობაში არ მოდის **შეთანხმებასთან**.
- 10.3. **ბანკი** უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს **შეთანხმება**, **კონტრაქტისათვის** 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
- 10.4. იმ შემთხვევაში, თუ **კონტრაქტის** **კანონმდებლობის** საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს **შეთანხმების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ **შეთანხმებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **შეთანხმება** უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და **ბანკს** მიზანწინააღმდეგობაშია **შეთანხმების** უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, **შეთანხმება** შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.
- 10.5. **შეთანხმების** შეწყვეტის შემთხვევაში:
  - 10.5.1. **მხარეები** მოვალენი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც **შეთანხმებით** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით მიიღეს;
  - 10.5.2. თუ **შეთანხმება** **კონტრაქტის** მამინ შეწყვიტა, როდესაც **ბანკი** მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველყო თავისი ინტერესები, **კონტრაქტის** უნდა აანაზღაუროს **შეთანხმების** შეწყვეტით **ბანკისთვის** მიყენებული ზიანი (ზარალი).
- 10.6. **შეთანხმების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კონტრაქტის** **შეთანხმებით** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი დარჩენილი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების და პასუხისმგებლობის იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.
- 10.7. თუ **შეთანხმების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **შეთანხმებით** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით, მამინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

**11. ცვლილებები და დამატებები**

- 11.1. **შეთანხმებაში**, გარდა **სტანდარტული პირობებისა**, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, **მხარეთა** შეთანხმებით.
- 11.2. **შეთანხმებაში** შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს **შეთანხმების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს. თუ ცვლილებები და დამატებები, თავისი შინაარსით, საჭიროებენ რეესტრში რეგისტრაციას, მამინ ისინი ძალაში შედიან მათი რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ.

**12. შეთანხმების პირობების მოქმედება კონტრაქტის მიმართ**

- 12.1. **შეთანხმების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების მიზნებისათვის, „**კონტრაქტი**“-ს დეფინიციამო მოცემულ პირზე **შეთანხმების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების პირობები გავრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი პირის სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ამგვარ პირზე.
- 12.2. იმ შემთხვევაში, თუ **შეთანხმების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების **მხარეს** წარმოადგენს ერთზე მეტი **კონტრაქტის**:
  - 12.2.1. თითოეული ასეთი **კონტრაქტის** წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს **შეთანხმებიდან** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე;
  - 12.2.2. ერთ-ერთი **კონტრაქტის** მიერ **შეთანხმების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ **კონტრაქტის** და მის მიმართ ისარგებლოს **შეთანხმებით** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებებით.

**13. სხვა პირობები**

- 13.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **შეთანხმების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **შეთანხმების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
- 13.2. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **შეთანხმების**, მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **შეთანხმების**, მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების ან/და **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.
- 13.3. **შეთანხმების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **შეთანხმების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **შეთანხმების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი

- დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა შეთანხმებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
- 13.4. **შეთანხმება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგება** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით ან/და მისი/მათი მუხლ(ებ)ის, კუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.
- 13.5. **კონტრაქტის** უფლება არა აქვს ზანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე შეთანხმებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით (მათ შორის, მათი დანართით) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. ზანკის უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ კონტრაქტმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს ზანკის უფლებას მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა კონტრაქტი.
- 13.6. **შეთანხმება** განიმარტება და რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შეთანხმებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.
- 13.7. **შეთანხმება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგება** შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე მხარემ არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან მხარეებს ან ერთ-ერთ მხარეს სურს, მაშინ შეთანხმება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგება შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე მხარეთათვის მისაღებ სხვა ენაზეც. შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგებით ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, მხარეთა შორის ურთიერთობაზე ან/და შეთანხმების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა გარიგების, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.

**მომენტალური განვადებით მომსახურების სტანდარტული პირობების დანართი Nა**

1. **მომენტალური განვადების დროს საბანკო კრედიტის მიღების/გაცემის და მომსახურების პროცედურა:**
  - 1.1 **საქონლის** საბანკო კრედიტით შექმნის მსურველ **კლიენტს კონტრაქტის** აგზავნის **ბანკში** ან **დესკთან**;
  - 1.2 **კონტრაქტი კლიენტზე** გასცემს **ცნობას, ბანკსა** და **კონტრაქტს** შორის შეთანხმებული ფორმის შესაბამისად;
  - 1.3 **დესკი** განუმარტავს **კლიენტს** საბანკო კრედიტის მიღებისა და სარგებლობის პირობებს. საბანკო კრედიტის მიღების მსურველ **კლიენტს დესკი** სთხოვს **კონტრაქტის** მიერ გაცემული **ცნობის** წარმოდგენას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ რა სახის **საქონლის** შეძენა სურს **კლიენტს, საქონლის** საფასური ეროვნულ ვალუტაში და **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემები;
  - 1.4 **კლიენტი** ავსებს **დესკთან** საბანკო კრედიტის მისაღებად საჭირო **განაცხადს**, რომელიც შემდეგ შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად ელექტრონული ფორმით იგზავნება **ბანკში**;
  - 1.5 **ბანკი** უმოკლეს გონივრულ ვადაში იღებს გადაწყვეტილებას **განაცხადით** მოთხოვნილი კრედიტის გაცემა ან არგაცემაზე. მიღებული გადაწყვეტილება ელექტრონული ფორმით იგზავნება **განაცხადის** შემსვებ **დესკთან**;
  - 1.6 დადებითი პასუხის შემთხვევაში, **დესკი კლიენტს** გადასცემს შეტყობინებას საბანკო კრედიტის დამტკიცების თაობაზე და სთხოვს **თანამონაწილეობის თანხის** გადახდას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - 1.7 **თანამონაწილეობის თანხის** გადასახდელად **კლიენტს** გადაეცემა **ორდერის 3** (სამი) ეგზემპლარი. **კლიენტი** ხელს აწერს **ორდერს** და მასში მითითებულ **თანამონაწილეობის თანხას** უხდის **კონტრაქტის ანგარიშზე** გადარიცხვით ან სალაროში;
  - 1.8 **კონტრაქტის** სალაროში მოლარე (თანხის მიმღები პირი) ახდენს **ორდერში** მითითებული თანხის მიღებას, ხელს აწერს **ორდერს** და უსვამს **კონტრაქტის** ბეჭედს, მოლარესთან წარდგენილი **ორდერის 3** (სამი) ეგზემპლარიდან ერთ რჩება **კონტრაქტის** მოლარესთან, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა **კლიენტს**, რომელსაც თან ერთვის სალარო აპარატის ქვითარი და რომელსაც **კლიენტი** წარადგენს **დესკთან**;
  - 1.9 მხოლოდ სალარო აპარატის ქვითარდართული **ორდერის** წარდგენის შემდეგ **დესკი კლიენტთან** აფორმებს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას 2 (ორი) ეგზემპლარად (გრაფიკითან და გადახდის პირობებთან ერთად). ხელშეკრულებაზე ხელს აწერს **კლიენტი** და **დესკი** (ერთი ეგზემპლარი რჩება **დესკთან**, მეორე გადაეცემა **კლიენტს**);
  - 1.10 საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ **კლიენტს** გადაეცემა **ორდერი**, რომელზეც დასმულია შტამპი და ხელმოწერილია **დესკის** მიერ. წინამდებარე **პუნქტში** აღნიშნული **ორდერი** წარედგინება **კონტრაქტს**, რომელიც თავის მხრივ ახდენს წარდგენილი **ორდერის** ნამდვილობის შემოწმებას. შემოწმება ხდება **ორდერის** გამცემ თანამშრომელთან ტელეფონით ან პირადი დაკავშირების გზით, ზუსტდება **ორდერი** ნამდვილად მისი გაცემულია თუ არა. მხოლოდ გადამოწმებული **ორდერის** საფუძველზე **კონტრაქტი** ახდენს **კლიენტზე** შეძენილი **საქონლის** გაცემას;
  - 1.11 **შეთანხმების** პირობების შესაბამისად **კონტრაქტი კლიენტთან** აფორმებს საგარანტიო მომსახურებას გასაყიდ **საქონელზე** (თუ ეს შესაძლებელია **საქონლის** სპეციფიკის გათვალისწინებით), რომელიც, როგორც წესი მინიმუმ 6 თვინა და მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც ხელს აწერს **კლიენტი** და ხელმოწერილი ადასტურებს, რომ მის მიერ მიღებული **საქონელი** ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან/და ნივთობრივად უნაკლოა;
  - 1.12 თუ **კლიენტი** გამოთქვამს სურვილს შეიცვალოს **ცნობაში** მითითებული საბანკო კრედიტით შესაძენი **საქონლის** ნებისმიერი პარამეტრი, **კონტრაქტი** ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს **ბანკს (განაცხადის შემსვებ პირს)** და მხოლოდ **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში შეცვალოს **ცნობაში** მითითებული **საქონელი** ან/და მისი ნებისმიერი პარამეტრი;
  - 1.13 ყოველი დღის ბოლოს **დესკი** ახდენს ანგარიშგების დოკუმენტის მომზადებას, უზრუნველყოფს მის დაბეჭვდას 2 (ორი) ეგზემპლარად. ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს ყველა იმ **საქონლისა** და **კლიენტის** ჩამონათვალი, რომლებზეც დამტკიცდა საბანკო კრედიტი და გაიცა **კონტრაქტთან** წარსადგენად **ორდერი**;
  - 1.14 **კონტრაქტის** წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი **პირი** ადარებს ანგარიშგებაში მითითებულ მონაცემებს დღის განმავლობაში გაცემული **საქონლის** რაოდენობას და მათი შესაბამისობის შემთხვევაში ხელს აწერს მას და უსვამს შტამპს;
  - 1.15 **კონტრაქტი** ვალდებულია, ყოველთვიურად შეამოწმოს გაცემული **საქონლის** საფასურის შესაბამისი თანხები მიღებული აქვთ თუ არა და რაიმე პრობლემის შემთხვევაში დროულად აცნობოს ამის თაობაზე **ბანკს**.
2. **მომენტალური განვადების დროს შეძენილი საქონლის დაბრუნების პროცედურა:**
  - 2.1 იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** მოახდენს **საქონლის** უკან დაბრუნებას ან უარს იტყვის მომსახურების მიღებაზე, ამ ფაქტის შესახებ **კონტრაქტი კლიენტთან** აფორმებს შესაბამის დოკუმენტს სადაც აღინიშნება, რომ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა ან/და **საქონელი** დაბრუნდა;
  - 2.2 **კონტრაქტი** ვალდებულია დაბრუნებული **საქონლის** მთლიანი **ნასყიდობის საფასურის** დარჩენილი მოცულობა (**ნასყიდობის საფასურის** მთლიან მოცულობას გამოკლებული **კლიენტის** მიერ წინასწარ გადახდილი **თანამონაწილეობის თანხა**, (რომლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დაუყოვნებლივ უნდა წარმოადგინოს **კონტრაქტმა**) გადარიცხოს **კლიენტის ბანკში** არსებულ საბანკო ანგარიშზე და გადარიცხვამდე გააფრთხილოს **ბანკი**. **კონტრაქტს** ეკრძალება **ნასყიდობის საფასურის** ან/და მისი ნაწილის **კლიენტისათვის** დაბრუნება ნაღდი ანგარიშსწორებით;
  - 2.3 **კონტრაქტი კლიენტის ბანკში** არსებული საბანკო ანგარიშის რეზერვობის არკვევს **კლიენტთან** და რიცხავს თანხას **კლიენტის** ანგარიშზე, პარალელურად ამისა, **ბანკში**, შემდეგ მისამართზე [posloan\\_operations@bog.ge](mailto:posloan_operations@bog.ge)-ზე აგზავნის წერილს ან აგზავნის ოფიციალურ წერილს ფოსტით, **კლიენტის** ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შესახებ;
  - 2.4 ამავედროულად **კლიენტს კონტრაქტი** ან/და **დესკი** განუმარტავს, რომ იგი კრედიტის დაფარვის ვალდებულებისგან არ თავისუფლდება. იმისთვის, რომ მოხდეს მის მიერ აღებული საბანკო კრედიტიდან წარმომობილი ვალდებულებების ვადამდელი სრული და ჯეროვანი შესრულება **კლიენტი** უნდა მივიდეს **ბანკში**.

3. **მომენტალური განვადების დროს დამტკიცებული საბანკო კრედიტის მიღების/გაცემის და მომსახურების პროცედურა დესკის მიერ:**
  - 3.1. **საქონლის** საბანკო კრედიტით შეძენის მსურველ **კლიენტს კონტრაქტის** აგზავნის **დესკთან**;
  - 3.2. **დესკი** განუმარტავს **კლიენტს** საბანკო კრედიტის მიღებისა და სარგებლობის პირობებს. საბანკო კრედიტის მიღების მსურველ **კლიენტს** სთხოვს **კონტრაქტის** მიერ გაცემული **ცნობის** წარმოდგენას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ რა სახის **საქონლის** შეძენა სურს **კლიენტს**, **საქონლის** საფასური ეროვნულ ვალუტაში და **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემები;
  - 3.3. **კონტრაქტის** გასცემს **ცნობას**, **ბანკსა** და **კონტრაქტს** შორის შეთანხმებული ფორმის შესაბამისად;
  - 3.4. **დესკი კლიენტს** გადასცემს შეტყობინებას საბანკო კრედიტის დამტკიცების თაობაზე და სთხოვს **თანამონაწილეობის თანხის** გადახდას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
  - 3.5. **თანამონაწილეობის თანხის** გადასახდელად **კლიენტს** გადაეცემა **ორდერის 3** (სამი) ეგზეპლარი. **კლიენტი** ხელს აწერს **ორდერს** და მასში მითითებულ **თანამონაწილეობის თანხას** უხდის **კონტრაქტის** ანგარიშზე გადარიცხვით ან სალაროში;
  - 3.6. **კონტრაქტის** სალაროში მოლარე (თანხის მიმღები პირი), ახდენს **ორდერში** მითითებული თანხის მიღებას, ხელს აწერს **ორდერს** და უსვამს **კონტრაქტის** ბეჭედს, მოლარესთან წარდგენილი **ორდერის 3** (სამი) ეგზეპლარიდან ერთ რჩება **კონტრაქტის** მოლარესთან, ერთი ეგზეპლარი გადაეცემა **კლიენტს**, რომელსაც თან ერთვის სალარო აპარატის ქვითარი და რომელსაც **კლიენტი** წარადგენს **დესკთან**.
  - 3.7. **დესკი** ან **კონტრაქტის** თანამშრომელი **კლიენტს** გადასცემს **ორდერს**, რომელზეც დასმულია შტამპი და ხელმოწერილია **დესკის** მიერ. ამ ბუნქტში აღნიშნული **ორდერი** წარედგინება **კონტრაქტს**, რომელიც თავის მხრივ ახდენს წარდგენილი **ორდერის** ნამდვილობის შემოწმებას. შემოწმება ხდება **ორდერის** გამცემ თანამშრომელთან ტელეფონით ან პირადი დაკავშირების გზით, ზუსტდება, **ორდერი** ნამდვილად მისი გაცემულია თუ არა. მხოლოდ გადამოწმებული **ორდერის** საფუძველზე **კონტრაქტი** ახდენს **კლიენტზე** შეძენილი **საქონლის** გაცემას;
  - 3.8. შეთანხმების პირობების შესაბამისად **კონტრაქტი კლიენტთან** აფორმებს საგარანტიო მომსახურებას გასაყიდ **საქონელზე** (თუ ეს შესაძლებელია **საქონლის** სპეციფიკის გათვალისწინებით), რომელიც როგორც წესი მინიმუმ 6 თვინა და მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც ხელს აწერს **კლიენტი** და ხელმოწერით ადასტურებს, რომ მის მიერ მიღებული **საქონელი** ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან/და ნივთობრივად უნაკლოა;
  - 3.9. თუ **კლიენტი** გამოთქვამს სურვილს შეიცვალოს **ცნობაში** მითითებული საბანკო კრედიტით შესაძენი **საქონლის** ნებისმიერი პარამეტრი, **კონტრაქტი** ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს **ბანკს (განაცხადის შემსვებ პირს)** და მხოლოდ **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში შეცვალოს **ცნობაში** მითითებული **საქონელი** ან/და მისი ნებისმიერი პარამეტრი;
  - 3.10. ყოველი დღის ბოლოს **დესკი** ახდენს ანგარიშგების დოკუმენტის მომზადებას, უზრუნველყოფს მის დაბეჭვდას 2 (ორი) ეგზეპლარად. ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს ყველა იმ **საქონლისა** და **კლიენტის** ჩამონათვალი, რომლებზეც დამტკიცდა საბანკო კრედიტი და გაიცა **კონტრაქტთან** წარსადგენად **ორდერი**;
  - 3.11. **კონტრაქტის** წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ადარებს ანგარიშგებაში მითითებულ მონაცემებს დღის განმავლობაში გაცემული **საქონლის** რაოდენობას და მათი შესაბამისობის შემთხვევაში ხელს აწერს მას და უსვამს შტამპს;
  - 3.12. **კონტრაქტი** ვალდებულია, ყოველთვიურად შეამოწმოს გაცემული **საქონლის** საფასურის შესაბამისი თანხები მიღებული აქტთ თუ არა და რაიმე პრობლემის შემთხვევაში დროულად აცნობოს ამის თაობაზე **ბანკს**.
4. **დესკის მეშვეობით მომენტალური განვადების დროს მიღებული საქონლის დაბრუნების პროცედურა:**
  - 4.1. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** მოახდენს **საქონლის** უკან დაბრუნებას ან უარს იტყვის მომსახურების მიღებაზე, ამ ფაქტის შესახებ **კონტრაქტი კლიენტთან** აფორმებს შესაბამის დოკუმენტს მისაღები **საქონელზე** უარის თქმის შესახებ, სადაც აღინიშნება, რომ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა ან/და **საქონელი** დაბრუნდა;
  - 4.2. **კონტრაქტი** ვალდებულია დაბრუნებული **საქონლის** მთლიანი **ნასყიდობის საფასურის** დარჩენილი მოცულობა (**ნასყიდობის საფასურის** მთლიან მოცულობას გამოკლებული **კლიენტის** მიერ წინასწარ გადახდილი **თანამონაწილეობის თანხა**, რომლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დაუყოვნებლივ უნდა წარმოადგინოს **კონტრაქტმა**) გადარიცხოს **კლიენტის ბანკში** არსებულ საბანკო ანგარიშზე და გადარიცხვამდე გააფრთხილოს **ბანკი**. **კონტრაქტს** ეკრძალება **ნასყიდობის საფასურის** ან/და მისი ნაწილის **კლიენტისათვის** დაბრუნება ნაღდი ანგარიშსწორებით.
  - 4.3. **კონტრაქტი კლიენტის ბანკში** არსებული საბანკო ანგარიშის რეზერვობის არკვევს **კლიენტთან** და რიცხავს თანხას **კლიენტის** ანგარიშზე, პარალელურად ამისა, **ბანკში** შემდეგ მისამართზე [posloan.operations@bog.ge](mailto:posloan.operations@bog.ge)-ზე აგზავნის წერილს ან აგზავნის ოფიციალურ წერილს ფოსტით, **კლიენტის** ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შესახებ;
  - 4.4. ამავედროულად **კლიენტს კონტრაქტი** ან/და **დესკი** განუმარტავს, რომ იგი კრედიტის დაფარვის ვალდებულებებისგან არ თავისუფლდება. იმისთვის, რომ მოხდეს მის მიერ აღებული საბანკო კრედიტიდან წარმომოხილი ვალდებულებების ვადამდელი სრული და ჯეროვანი შესრულება **კლიენტი** უნდა მივიდეს **ბანკში**.
5. **კლიენტისთვის დამტკიცებული განვადების ლიმიტის გააქტიურების/გამოყენების პროცედურა ტერმინალის საშუალებით:**
  - 5.1. **საქონლის** საბანკო კრედიტით შეძენის მსურველი **კლიენტი** საბანკო კრედიტის აქტივაციას ახდენს **ტერმინალის** საშუალებით;
  - 5.2. **ტერმინალში კონტრაქტის** წარმომადგენელი ათავსებს **კლიენტის** ბარათს და **ტერმინალში** ირჩევს განვადების გააქტიურების შესაბამის ფუნქციას;
  - 5.3. **კონტრაქტის** წარმომადგენელი **ტერმინალში** უთითებს **საქონლის** შესაძენად საჭირო თანხას და გადახდების რაოდენობას. მონაცემების შეყვანის შემდეგ **კლიენტი** ოპერაციის შესრულებას ადასტურებს ბარათის პინ კოდის მითითებით. ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, იბეჭდება ქვითარი, რომელშიც მოცემული იქნება მიღებული კრედიტის პარამეტრები და რომელზეც დაბეჭდვისთანავე უნდა დაფიქსირდეს **კლიენტის** ხელმოწერა. პარალელურად **ბანკში კლიენტის** კოდზე ავტომატურად რეგისტრირდება განვადების კრედიტი, რომელიც ასევე ავტომატურად გაიცემა **კლიენტის** ანგარიშზე და თანხა გადარიცხება შესაბამისი **კონტრაქტის**, წინასწარ **ბანკთან** შეთანხმებულ, რეკვიზიტებზე;



- 5.4. **ტერმინალის** ფუნქციონალთან ან არასწორად შესრულებულ ოპერაციასთან დაკავშირებული პრობლემის შემთხვევაში, **კონტრაჰენტის** წარმომადგენელი ვალდებულია შეასრულოს **ბანკის** მითითებები;
- 5.5. **კონტრაჰენტი** ვალდებულია **კლიენტის** მიერ **ნასყიდობის საფასურის** გადახდის უზრუნველსაყოფად **ტერმინალის** გამოყენებით საბანკო კრედიტის გააქტიურების სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში:
- 5.5.1. უზრუნველყოს **კლიენტისათვის ტერმინალზე** დაფიქსირებული ყველა ინფორმაციის, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ხელშეკრულების პირობების გაცნობა;
- 5.5.2. გადასცეს **კლიენტს ბანკთან** გასაფორმებელი საბანკო მომსახურების ხელშეკრულების პირობების ნაბეჭდი ვერსია.
- 5.6. უზრუნველყოს **საქონლის** უკან დაბრუნება/მომსახურების ხელშეკრულების გაუქმება წინამდებარე **დანართის** განსაზღვრული პირობების დაცვით და დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ, თუ **კლიენტი ტერმინალის** საშუალებით საბანკო კრედიტის გააქტიურების დღის 18:00 საათამდე წარუდგენს **კონტრაჰენტს** პრეტენზიას, სადაც აღნიშნავს, რომ **კონტრაჰენტმა** ვერ უზრუნველყო **ტერმინალზე** დაფიქსირებული საბანკო კრედიტის პირობების მისთვის სრულად და ჯეროვნად გაცნობა.
6. **ტერმინალის გამოყენებით კლიენტისათვის დამტკიცებული განვადების ლიმიტის გააქტიურებით/გამოყენებით შეძენილი საქონლის დაბრუნების პროცედურა:**
- 6.1. თუ **კლიენტი ტერმინალის** საშუალებით საბანკო კრედიტის გააქტიურების დღის 18:00 საათამდე წერილობით წარუდგენს **კონტრაჰენტს** პრეტენზიას, სადაც აღნიშნავს, რომ **კონტრაჰენტმა** ვერ უზრუნველყო **ტერმინალზე** დაფიქსირებული საბანკო კრედიტის პირობების მისთვის სრულად და ჯეროვნად გაცნობა, **კონტრაჰენტი** უზრუნველყოფს **საქონლის** უკან დაბრუნებას/მომსახურების ხელშეკრულების გაუქმებას;
- 6.2. **კლიენტის** მიერ წარმოდგენილი წერილობითი პრეტენზია/განცხადება დგება ორ ეგზემპლარად, საიდანაც ერთი ეგზემპლარი რჩება **კლიენტს**, ხოლო მეორე – **კონტრაჰენტს**. ამასთან **კონტრაჰენტის** ეგზემპლარის დასკანერებული ვერსია იმავე დღეს ეგზავნება **ბანკს**. დოკუმენტში აღინიშნება, რომ **კონტრაჰენტსა** და **კლიენტს** შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა ან/და **საქონელი** დაბრუნდა და მიეთითება საბანკო კრედიტზე უარის თქმის საფუძვლები;
- 6.3. **კონტრაჰენტი** ვალდებულია დაბრუნებული **საქონლის** საფასურის ის მოცულობა, რომელიც **კლიენტს** გადახდილი აქვს **ტერმინალის** საშუალებით გააქტიურებული საბანკო კრედიტით გადარიცხოს **კლიენტის ბანკში** არსებულ საბანკო ანგარიშზე და გადარიცხვამდე გააფრთხილოს **ბანკი**. **კონტრაჰენტს** ეკრძალება **ნასყიდობის საფასურის** ან/და მისი ნაწილის **კლიენტისათვის** დაბრუნება ნაღდი ანგარიშსწორებით.
- 6.4. **კონტრაჰენტი კლიენტის, ბანკში** არსებული, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს არკვევს **კლიენტთან** და რიცხავს თანხას აღნიშნულ ანგარიშზე, ამის პარალელურად აგზავნის **ბანკში** წერილს მისამართზე [posloan.operations@bog.ge](mailto:posloan.operations@bog.ge)-ზე ან აგზავნის ოფიციალურ წერილს ფოსტით, თანხის გადმორიცხვისას **კლიენტის** მიერ აღებული საბანკო კრედიტის დაფარვის შეტყობინებით.

ცნობა № \_\_\_\_\_

ცნობის გაცემის თარიღი:

*[კონტრაქტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება]*

მისამართი:	_____
ტელ/ფაქსი:	_____
საიდენტიფიკაციო კოდი:	_____
ბანკი:	_____
ბანკის კოდი:	_____
ანგარიშის #	_____
მისამართი:	_____

კლიენტი

სახელი და გვარი:	_____
პირადი ნომერი:	_____

მომსახურების ცენტრის მისამართი:	_____
_____	_____
_____	_____
ტელ/ფაქსი:	_____

№	საქონლის აღწერა	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ თანხა
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				

სულ ჯამი:

დღგ-ს ჩათვლით

კონტრაქტისა და კლიენტისათვის ცნობილია, რომ ზემოაღნიშნულ ცნობაში ან/და მასში მოცემულ მონაცემებში ცვლილების შეტანა დასაშვებია მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

(შენიშვნა: აუცილებელია ხელმოწერის დამოწმება კონტრაქტის ბეჭდით)

მომენტალური განვადებით მომსახურების სტანდარტული პირობების  
დანართი Nგ

ორდერი № \_\_\_\_\_

*[კონტრაქტის დასახელება]-ს*

მოგახსენებთ, რომ **კლიენტს** [ჩაიწეროს კლიენტის სახელი და გვარი და პირადი ნომერი] **საქონლის** შესაძენად, რომლის **ნასყიდობის საფასური** შეადგენს [ჩაიწეროს ნასყიდობის საფასური ციფრებით (სიტყვიერად) და ვალუტა], დაუმტკიცდა საბანკო კრედიტი [ჩაიწეროს საბანკო კრედიტის მოცულობა ციფრებით (სიტყვიერად) და ვალუტა] ოდენობით, საიდანაც **კლიენტის** დავალებით, **ბანკი** უზრუნველყოფს **კლიენტის** მიერ **კონტრაქტისათვის** გადასახდელი **ნასყიდობის საფასურის** ნაწილის გადახდას [ჩაიწეროს თანხის მოცულობა ციფრებით (სიტყვიერად)] ოდენობით.

ორდერის გამცემი პირი (დესკი) – [ჩაიწეროს სახელი და გვარი]

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი – [ჩაიწეროს ტელეფონის ნომერი]